# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/140

14 სექტემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

**პროფესიული მომზადების პროგრამის მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ოთარ გელაშვილის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის საბჭოს ა/წ 15 ივლისის სხდომის №5 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 სექტემბრის №24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს პროფესიული მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ,,ჰაერის კონდიცირებისა და ვენტილაციის სისტემების მონტაჟი“ და ეწოდოს მას „მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურება“;
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. პროგრამის ხელმძღვანლად ნაცვლად თამაზ ისაკაძისა, დაინიშნოს სულხან სულაძე;
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

დადგენილებას თან ერთვის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — ი. კუტუბიძე